

საქართველოს კანონი

*„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში  
დამატებების შეტანის თაობაზე*

მუხლი 1. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 21.05.2003, მუხლი 62) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 25-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. არა უგვიანეს 15 ივნისისა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ძირითად მონაცემებს ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრისათვის.

5. არა უგვიანეს 10 სექტემბრისა – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული ფინანსური დახმარების მოცულობას“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის — ივნისი